ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2015-54

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „16“ 04 2015 წ.
ერთის მხრივ შ.პ.ს. „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი” მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №21, სს „თიბისი ბანკი”-ს მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ№ GE38TB1100000360200864 ს/კ 204862372

(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „აუტოჰაუზ”, მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, სამხედრო გზისა და გლდანის გადასახვევის გადაკვეთის მიმდებარედ (ფაქტ. მის: აღმაშენებლის ხეივანი მე-7კმ), ტელ: 53-07-14, სს „თიბისი ბანკი”, კოდი TBCBGE22; ა/ა GE53TB0600000036467045; ს/კოდი 204967991

(შემდგომში „მიმწოდებელი“)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება გამარტივებული შესყიდვის გზით შემდეგზე CPV კოდი: 50100000:

მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება განახორციელოს შემსყიდველის კუთვნილი ავტომანქანის (შევროლეტ-კრუიზი, სახ. № MTC-777) მომსახურეობა შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი მომსახურების შესაბამის თანხაზე რომელიც ხელშეკრულების მოქმედების მთლიან პერიოდში შეადგენს არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
   ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
   ბ) ხელშეკრულების საერთო პირობები;
   გ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
5. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესრულებული მომსახურება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული ნაწილების ღირებულების დაფარვა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ. ადგილზე -- ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-7-ე კმ.

4.2 დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ მითითებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ დ.ღ.გ.-ს ანგარიშფაქტურის გაფორმების შემდეგ.

5.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხარისხიანად შეასრულებს გასაწევ მომსახურებას.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ანგარიშსწორების ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები სხვა მხარეს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველს აქვს უფლება განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, რასაც იგი ახორციელებს ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით, მისაწოდებელი ან მოწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშკრულებას მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და მიმწოდებელთან ანგარისწორების პროცესის რეგულირების მიზნით.

2. მომსახურების მიწოდების პირობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს მიმწოდებლის დ.ღ.გ.-ს ანგარიშ-ფაქტურები მომსახურების აღწერით, მომსახურების რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

2.2. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

3. გარანტია

მიწოდებულ მოსმახურებაზე თუ გამოვლინდა რაიმე დეფექტი მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას აღნიშნული დეფექტი საკუთარი ხარჯებით

4. ანგარიშსწორება და სახელშეკრულებო ფასი

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა
4.2. ანგარიშსწორების ვადა: მომსახურების მიღების შემდეგ გადარიცხვა
4.3. ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშფაქტურა
4.4. ხელშეკრულების სავარაუდო საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5. ფასები

5.1. დაუშვებია მომსახურების ფასების ცვლილება

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო მოსაწოდებელი მომსახურების ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით.
6.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს მოსაწოდებელი მომსახურების ღირებულების 20 პროცენტს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტოს ხელშეკრულება.

„შემსყიდველი"

_____ გიორგი ესაძე

გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი"

_____ მამუკა დაუშვილი

დირექტორი